ოქმი:ო31. 3123353001
თარიღი:19/12/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №13

ქ. ლანჩხუთი

18. 12. 2023 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღის ცვლილების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ 2023 წლის 21 დეკემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს ჩანიშნული აქვს მნიშვნელოვანი შეხვედრები სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებთან, ამასთანავე ის არის მომხსენებელი წლის მნიშვნელოვან დოკუმენტზე- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“, რომელიც განიხილება ამავე დღეს საკრებულოს სხდომაზე და მისი დასწრება სავალდებულოა. აქედან გამომდინარე, რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა 1/3-მა თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს, რათა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართოს 2023 წლის 22 დეკემბერს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 22 დეკემბერი 12:00 საათი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა საკითხს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე